




**ეკლესიისათვის სახელმწიფო ტყის საკუთრებაში
გადაცემა დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას**

ეკლესიისათვის სახელმწიფო ტყის საკუთრებაში გადაცემა დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 22 მაისს მხარი დაუჭირა [საქართველოს ტყის კოდექსის](#) მიღებას, რომლის მიზანია ტყის მდგრადი მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება.^[1] ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ტყის კოდექსში განისაზღვრა ტყის მართვის ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტები, ასევე შეიქმნა მისი აღსრულების მექანიზმი.

საქართველოს ტყის კოდექსით საქართველოს ტყე აღიარებულია, როგორც განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსი და კოდექსის მიზანია რესურსებისა და სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება. ^[2] ტყის მდგრადი მართვის პრინციპების თანახმად, მართვის შესახებ

გადანყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრად მართვას. ტყით საერთო სარგებლობის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტყის ყველასთვის ხელმისაწვდომობა.”[3]

რეფორმის ფარგლებში, ტყის მდგრადი მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან გარანტიად განისაზღვრა **ტყელების** ქონების შესახებ საქართველოს კანონით სახელმწიფო ტყის იმ სახელმწიფო ქონების ჩამონათვალში დამატება, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას,[4] რაც პასუხობს სახელმწიფო ტყის საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მართვის პრინციპს. თუმცა, ამავე კანონით დადგინდა გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც

ტყელების სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში გადაეცეს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეთა ფართობები - თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 20 ჰექტარისა, აგრეთვე საქართველოს ტყის კოდექსით მიჩენილი ტერიტორიები. [5] აღნიშნული ნორმა ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ტყის გადაცემასთან დაკავშირებით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევა ეწინააღმდეგება საქართველოს ტყის კოდექსით დადგენილ მიზანსა და ტყის მართვის ძირითად პრინციპებს, რადგან ვერ უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, ტყის რესურსის რაციონალურ გამოყენებასა და, მეორეს მხრივ, საზოგადოების, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას ტყის თანაბარ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ტყის გადაცემა ხდება არა საერთო საზოგადოებრივი, არამედ კონკრეტული რელიგიური გაერთიანების კერძო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, აზრს უკარგავს ამავე კოდექსით სახელმწიფო ტყის ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივ რესურსად აღიარებას.

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ტყის გადაცემის შესაძლებლობა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დისკრიმინაციული ხასიათისაა სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ, რადგან მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დამატებითი ფინანსური და ქონებრივი გარანტიების მინიჭება სხვა რელიგიურ გაერთიანებებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 3

ივლისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი - **პ** []
ქონების შესახებ [] საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც მხოლოდ
მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებდა სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ მიღების
შესაძლებლობას. [6] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად,

პ [] დებულებით განსაზღვრული დიფერენცირება არ წარმოადგენს
საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას და არ გამომდინარეობს საქართველოს
ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის შესახებ
კონსტიტუციის მე-9 მუხლის დებულებიდან. სადავო ნორმას არ გააჩნია რაციონალური
კავშირი მოპასუხე მხარის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანთან (სახელმწიფოსა და
ეკლესიის ურთიერთობის კონსტიტუციური პრინციპის რეალიზება), იგი აწესებს
განსხვავებულ მოპყრობას რელიგიური ნიშნით, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი,
ობიექტური და გონივრული გამართლება. [7] **მიგვაჩნია, რომ არსებული გამონაკლისი
შემთხვევა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ
თანასწორობის სტანდარტებს და წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს
გემოაღნიშნული გადაწყვეტილების დამძლევ ნორმას. (8)**

[1] ?????????? ??? ?????, ?????????.

[2] ?????????? ??? ?????, ?????????.

[3] ?????????? ??? ?????, ??-4 ?????? 1-?? ?????? „?“ ?????????.

[4] ?????????? ?????? ?????? ?????????? ?????? ??-4 ?????? 1-?? ?????? „?“ ?

[5] ?????????? ?????? ?????? ?????????? ?????? ??-3 ?????? ??-6 ??????.

[6] ?????????? ?????????????? ?????????????? 2018 ??? 3 ?????? ?????????????? ????
<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1178>

[7] ????, 28-? ?????????.

(8) ?????????? ?????? ?????? ?????? ?????????????? ?????? ?????????????? ??????????????